სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030628973372819

12 / დეკემბერი / 2019 წ. **თბილისი #06-252/ო**

„გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფების ნუსხისა და ვაქცინაციის ჩატარების წესის შესახებ“ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2019 წლის 29 ოქტომბრის #06-220/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფების ნუსხისა და ვაქცინაციის ჩატარების წესის შესახებ“ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2019 წლის 29 ოქტომბრის #06-220/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებას პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „1^1“ პუნქტი:

„1^1 . გრიპის სეზონის გააქტიურებასთან დაკავშირებით და გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის არსებული მარაგების გათვალისწინებით, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული 2019-2020 წლების გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფების გარდა, ვაქცინაციას დაექვემდებაროს, მათი ოჯახის წევრები (უპირატესად ბავშვები), ცენტრის თანამშრომლები (მათი ოჯახის წევრები) და დასაბუთებული მომართვის საფუძველზე, ცენტრის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე პირები.".

2. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ.ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ncdc.ge.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 14 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თამარ გაბუნიას 2019 წლის 14 ნოემბრის № 01/19318 წერილი;

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თამარ გაბუნიას 2019 წლის 10 დეკემბრის № 01/20599 წერილი.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე